

თბილისი

2014 წ.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

საქართველოს მთავრობის კანცელარიას, სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროსა და შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსტიტეტის შორის

საქართველოს მთავრობის კანცელარია, საჯარო სამართლის იურიდიული პირი საჯარო სამსახურის ბიურო და შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსტიტეტი (შემდგომში „მხარეებად“ წოდებული), ანიჭებენ რა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას საქართველოს მთავრობის კანცელარიას, საჯარო სამსახურის ბიუროსა და შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსტიტეტს შორის განათლების სფეროში თანამშრომლობის დამყარებასა და განვითარებას;

აღიარებენ რა თითოეული მხარის ინტერესს, ხელი შეუწყონ სტუდენტებისათვის საგანმანათლებლო სივრცის განვითარებას;

ეყრდნობიან რა თანასწორობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებს, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1

ამ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით (შემდგომში – მემორანდუმი), მხარეები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გამოხატავენ და ადგენენ, განათლების სფეროში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივების განხორციელების საერთო მზადყოფნას.

მუხლი 2

თავიანთი მიზნების განსახორციელებლად, მხარეები ითანამშრომლებენ იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ:

1. საზღვარგარეთ პროფესიული ცოდნის ამაღლების მსურველთა დაფინანსებას სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე სწავლისათვის;
2. განათლების მიღების შესაძლებლობის ყველასათვის ხელმისაწვდომობას;

3. საჯარო დაწესებულებებისათვის კვალიფიციური კადრების მომზადებას;
4. სტაჟირების ერთიანი სტანდარტის შემუშავებას, რომელიც ხელს შეუწყობს სახელმწიფო სექტორში დასაქმების მსურველთათვის ჯანსაღი კონკურენციის შექმნასა და საჯარო სამსახურში დასაქმების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას;
5. სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებში დასაქმების შესაძლებლობების შესახებ ცნობიერების ამაღლებას;
6. დასაქმების თანაბარი პირობების შექმნას, როგორც რეგიონებში მცხოვრები, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის.

მუხლი 3

მემორანდუმი არ ზღუდავს თანამშრომლობის სახეებსა და ფარგლებს. მხარეებს შეუძლიათ, ითანამშრომლონ სხვა საკითხებში თითოეული მხარის ინტერესების შესაბამისად.

მუხლი 4

საჭიროების შემთხვევაში, მხარეები ცალკე შეათანხმებენ შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსტიტეტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების დეტალებს, მათ შორის თანამშრომლობის ფარგლებს, ფორმებს, ფინანსურ, ადმინისტრაციულ და სხვა საკითხებს.

მუხლი 5

მემორანდუმი მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით. თითოეულ მხარეს შეუძლია, ცალმხრივად შეწყვიტოს მემორანდუმის მოქმედება, მხარეებისათვის 15 (თხუთმეტი) დღით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.

მუხლი 6

მემორანდუმში შესაძლებელია წესისმიერი ცვლილების შეტანა მხარეთა წერილობითი შეთანხმებით. ცვლილებები ძალაში შედის სამშრივად ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 7

მემორანდუმი ძალაში შედის სამმსრივად ხელმოწერის დღიდან.

მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, სამი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთა თითო ეგზემპლარი გადაეცემა თითოეულ მხარეს.

საქართველოს მთავრობის კანცელარიის

უფროსის მოადგილე

ნინო კობახიძე

სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი

ეკატერინე ქარდავა

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო

უნივერსტიტეტის რექტორი

შევქეთ ერჯან თუნჩი